განკარგულება:**g-87. 87241855**
თარიღი:**03/07/2024**

განკარგულება №34

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62 მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული, ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს“ ახმეტის მუნიციპალური განყოფილებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემა („სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის“ 2024 წლის 12 ივნისის N06-862416470-86 წერილის დანართში მოყვანილი სახით) 2026 წლის პირველ იანვრამდე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი